ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **24-242221750**
თარიღი: **05/08/2022**

ადრესატი: დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ოკუპიებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური საცვის სამინისტროს დევნილთა,

ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს

დირექტორის მოადგილეს

ბატონ დავითი ჯიქიას

ბატონო დავით,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 15 ივლისს მიღებულ თქვენს NIDP 9 22 00113269 (მერიაში რეგ. N06-2422196202-24) წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქ. ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციულის ერთეულში, ჯანაშიას ქუჩაზე არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №43.31.62.746; 72000.00 კვ.მეტრი) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზონის ცვლილებას, გაცნობებთ რომ, ვინაიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 აპრილის №13 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ზუგდიდის ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისად, მიწის ნაკვეთი (ს.კ №43.31.62.746) მდებარეობს სარეზერვო ინდუსტრიულ ტერიტორიაზე სამრეწველო-საწარმოო ზონაში (იზ-1) -24 არეალი) და მისი განვითარება უნდა განხორციელდეს ერთიანი კომპლექსური ხედვით დამუშავებული განაშენიანების გეგმისა ან/და განაშენიანების დეტალური გეგმების საფუძვლეზე, თქვენ მიერ უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული და მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანების გეგმის (გგ) პროექტის წარმოდგენა მრავალბინიან საცხოვრებელ ზონასთან ერთად, პერსპექტივაში სარეკრეაციო და საზოგადოებრივი საჭიროების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, რომელიც სივრცით-მოცულობით და ვიზუალური გადაწყვეტით სრულად უნდა პასუხობდეს თანამედროვე არქიტექტურის გამოწვევებს და მაქსიმალურად ერწყმოდეს ქალაქისათვის დამახასიათებელი ურბანული ქსოვილის სტრუქტურას. ამასთან სრულად აკმაყოფილებდეს საცხოვრებელი კომპლექსის მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მზად არის მიიღოს თქვენი შეთავაზება და აქტიურად ჩაერთოს განაშენიანების გეგმის შემუშავების პროცესში, შემდგომში მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №43.31.62.746) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით.

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი